

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ლიტერატურის ისტორია“

გამოცდა ჩატარდება წერთი ფორმით. საგამოცდო ბილეთი შეიცავს 3 საკითხს. თითოეული მათგანი ფასდება 10 ქულით. შეფასებისას ყურადღება მიექცევა მასალის ფლობას, ანალიზის უნარს, ნამუშევრის ენობრივ-სტილისტურ მხარეს. გამოცდის ხანგრძლივობაა 3 საათი. დადებითი შეფასების მინიმალური ზღვარია 15 ქულა.

საგამოცდო საკითხები:

შუა საუკუნეებისა და აღორძინების ხანის ქართული მწერლობა (V-XVIII საუკუნეები)

1. ძველი ქართული სასულიერო მწერლობის დარგების (ბიბლიური თხზულებანი, ჰაგიოგრაფია, ჰიმნოგრაფია, ეგზეგეტიკა, ჰომილეტიკა ...) ზოგადი მიმოხილვა;
2. ქართული აგიოგრაფია (აღმოცენება, განვითარების გზა, რედაქციები, ჟანრები, მსოფლმხედველობრივი ტენდენციები);
3. იაკობ ხუცესი, „შუშანიკის წამება“ (თხზულების ავტორი და ქრონოლოგია, პრობლემატიკა, პერსონაჟები, პოეტიკა და სტილი);
4. იოანე საბანისძის „აბო ტფილელის მარტვილობა“;
5. „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“;
6. ათონის ლიტერატურული სკოლა და მისი წარმომადგენლები;
7. „ამირანდარეჯანიანი“ (ავტორი, დაწერის თარიღი, ძირითადი მოტივები, რაინდობის ინსტიტუტი, მხატვრული მხარე);
8. „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლმხედველობრივი სამყარო;
9. სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედება (ზოგადი მიმოხილვა);
10. დავით გურამიშვილის „დავითიანი“.

XIX საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობა

11. რომანტიზმი ლიტერატურაში; ქართული რომანტიზმის ძირითადი თავისებურებები;
12. ნიკოლოზ ბარათაშვილი, როგორც რომანტიკოსი პოეტი;
13. ილია ჭავჭავაძის ლირიკული პოეზია (პრობლემატიკა, მხატვრული მხარე);
14. აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელი“;
15. პიროვნებისა და საზოგადოებისა ურთიერთობის პრობლემა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში („ალუდა ქეთელაური“, „სტუმარ-მასპინძელი“).

XX საუკუნის ქართული ლიტერატურა

16. მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის ლიტერატურული ცხოვრების პანორამა; 10-20-იანი წლების დაჯგუფებანი; „ცისფერყანწელთა“ ლიტერატურული ორდენი;

17. სიმბოლიზმის თეორიული და ლიტერატურული წანამდღვრები; გალაკტიონ ტაბიძის ლირიკული პოეზია;
18. მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ (პრობლემატიკა, მხატვრული მხარე)
19. კონსტანტინე გამსახურდიას ნოველები;
20. გრიგოლ რობაქიძის შემოქმედების ძირითადი ტენდენციები.

ლიტერატურა:

- კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ . I, თბ., 1980;
- კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ . II, თბ., 1981;
- რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987;
- რ. სირაძე, ქრისტიანული კულტურა და ქართული მწერლობა, თბ., 1992;
- ე. ხინთიბიძე, შუასაუკუნეობრივი და რენესანსული „ვეფხისტყაოსანში“, თბ., 1993;
- ი. ევგენიძე, ქართული რომანტიზმის საკითხები, თბ., 1982.
- ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, თბ., 1972
- ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, თბ., 2003 (2010).
- გრ. კიკნაძე, ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბ., 1957;
- უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1994;
- ს. სიგუა, ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002.
- ა. ნიკოლეიშვილი, XX საუკუნის ქართული მწერლობა, 2002.